შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია

Philology of Middle Ages Christian East

MA

სავალდებულო კურსები ორივე მოდულისთვის
(Compulsorily courses for Both modules)

1. *ქრისტიანული კავკასიის საერთო პრობლემები*
   Common problems of Christian Caucasia

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა ქართველოლოგიის, არმენოლოგიისა და ალბანოლოგიის ძირითად პრობლემებს, როგორიცაა: დამწერლობა, ქრისტიანობის გავრცელება, საგარეო ორიენტაცია, იდეოლოგიური ორიენტაცია, სასაზღვრო პროვინციები, საერთო საგვარეულოები, ერთმანეთისაგან თარგმნილი მწერლობა, ენობრივი კონტაქტები (გრამატიკული დაახლოება, საერთო ლექსიკა), საეკლესიო არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგების განვითარების საერთო გზები და სხვ.

2. *ქართულ–სომხური ფილოლოგია*
   Georgian-Armenian Philology

კურსის ამოცანაა გააცნოს მაგისტრანტს ქართული-სომხურ ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი პრობლემები, ამ პრობლემების შესახებ არსებული ლიტერატურა ყველა მისთვის მისაწვდომ ენაზე, შესაბამისი პრობლემატიკის კვლევის კრიტიკული მეთოდები და გამოუმუშავოს ამ პრობლემებზე დამოუკიდებელად მუშაობის უნარი.

3. *ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნების მწერლობა–სომხურ მწერლობა*
   Literatura of Christian East Countries- Armenian Literature

კურის ფარგლებში მაგისტრანტი გაეცნობა სომხური ლიტერატურის ისტორიას, მისი პერიოდიზაციის პრინციპებს, ძირითად მიმართულებებს, ჟანრებს, სომეხ ავტორებსა და მათ რჩეულ ნაწარმოებებს.

II მოდული
II Module

სომხური ფილოლოგია
Armenian Philology

სავალდებულო კურსები
(Compulsorily courses)

1. *სპეცკურსი ძველ სომხურ ენაში*
   Special Course in Classical Armenian

კურსი ვარაუდობს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის საფუძველზე ძველი სომხური ენის უკვე სამეცნიერო დონეზე შესწავლას, სომხური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა თუ სინტაქსის გარკვეული საკითხების კვლევას. მაგისტრანტთან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე მოხდება ამ საკითხებიდან რომელიმეს ამორჩევა და რეფერირება.

2. *სპეცკურსი ახალ სომხურ ენაში*
   Special Course in Armenian Language

კურსი ვარაუდობს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის საფუძველზე ახალი სომხური ენის უკვე სამეცნიერო დონეზე შესწავლას, სომხური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა თუ სინტაქსის საკითხების კვლევას.

3. *სპეცკურსი სომხურ მწერლობაში*
   Special Course in Armenian Literature

კურსი გულისხმობს მასწავლებელსა და მაგისტრს შორის ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე ძველი, ახალი ან უახლესი სომხური ლიტერატურის კონკრეტული პერიოდის, ძეგლის (ან ავტორის) და მის შესახებ არსებული ლიტერატურის სიღრმისეულ შესწავლას.

4. *სომხური ტექსტოლოგია*
   Armenian Textology

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია მაგისტრანტების მომზადება სომხურ ტექსტოლოგიაში, რაც გულისხმობს მათ გარკვევას ტექსტოლოგიის ზოგად თეორიულ

საკითხებში, რის შემდეგაც მოხდება ძველი სომხური მწერლობის (ნარატიული, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული) სპეციალურად შერჩეულ ძეგლების დამუშავება.

5. *სომხური პალეოგრაფია-ეპიგრაფიკა*
   Armenian Paleography-Epigraphy

კურსის მსვლელობისას მაგისტრანტები შეისწავლიან სომხური დამწერლობის წარმოშობის ისტორიას, მის შემდგომ განვითარებას, სახეობებს. Eგაეცნობიან სხვადასხვა მასალაზე შესრულებულ სომხურ წარწერებს, მათ პალეოგრაფიულ და ენობრივ თავისებურებებს ქრონოლოგიისა და რეგიონების მიხედვით, ტექსტის შედგენის ტრაფარეტს, დაქარაგმებას, ლიგატურას, შეწიაღებას, ამოკითხვისა და გაშიფრვის მეთოდებს.

6. *სომხური წყაროთმცოდნეობა-ისტორიოგრაფია*
   Armenian source study and historiography

კურსი ვარაუდობს წყაროთმცოდნეობა-ისტორიოგრაფიის ზოგადი საკითხებისა და სომხეთის ისტორიისა და ისტორიოგრაფიის შესწავლას. მაგისტრანტი გაეცნობა ქართულად თარგმნილ ნარატიულ წყაროებს, ამავდროულად დაამუშავებს ძველ სომხურ ენაზე არსებულ წყაროებს და განსაზღვრას მათ სანდოობას საკონტროლო მასალასთან მიმართებით.

7. *სომხეთის ეკლესიის ისტორია*
   History of Armenian Church

კურსი შეისწავლის სომხეთის ეკლესიისა და დიასპორის სომხური ეკლესიების ისტორიას, მათ როლს ქვეყნის ისტორიაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სომხური და ქართული ეკლესიების ურთიერთობის, მათი მრწამსებისა და საწესო პრაქტიკის თავისებურებათა შესწავლას.

არჩევითი კურსები
(Optional Courses)

1. *ძველი სომხური ენის ისტორია*
   History of Classical Armenian

კურსის მსვლელობისას მაგისტრანტი სამეცნიერო დონეზე დაეუფლება ძველი სომხური ენის გრამატიკის თეორიას და ენის ისტორიას, შეისწავლის კლასიკური სომხური ტექსტების წაკითხვისა და თარგმნის მეთოდებს; გაანალიზებს სხვადასხვა ეპოქის წერილობითი ძეგლების მიხედვით ძველ სომხურ ენაში მიმდინარე გრამატიკულ პროცესებს.

2. *ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნების მწერლობა –ადრეული მელქიტური, იაკობიტური და ნესტორიანული ლიტერატურული ტრადიციები*
   Literature of Christian East Countries – early Melkit, Jacobit and Nestorian literary Traditions

კურსის ფარგლებში სტუდენტს შეექმნება ზოგადი წარმოდგენა ქრისტიანული აღმოსავლური კულტურის სირიულ-არაბულ არეალზე, რომელიც აერთიანებს მელქიტურ, იაკობიტურ და ნესტორიანულ ტრადიციებს. ყურადღება გამახვილებულდება როგორც ნათარგმნ, ასევე ორიგინალურ თხზულებებზე. განხილული იქნება სირიულ-ქართული და არაბულ-ქართული ურთიერთობების საკითხებიც.

შენიშვნა

წარმოდგენილია მხოლოდ არმენოლოგიასთან დაკავშირებული ძიითადი და არჩევითი კურსების ანოტაციები.